ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი

აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში

ზუგდიდი. 20 ივნისი 2014 წ.

სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა N 172

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში - აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ქალაქ ფოთში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სალიკვიდაციო კომისიის შექმნისა და სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ

,,საქმოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014 წლის 18 ივნისის N1147844 მომართვის საფუძველზე აუცილებელია განხორციელდეს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ლიკვიდაციისა და მასთან დაკავშირებული სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება.

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27^{1}–ე მუხლის მე–2 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, 27^{11}–ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის N308 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული სახელმწიფო რწმუნებულის–გუბერნატორის დებულების II თავის მე-5 მუხლის ,,რ“ პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, ,,საქმოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირვეი და მეორე პუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის შესაბამისად:

1. შეიქმნას სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის (შემდგომში ,,სამსახური“) ლიკვიდაციასთან დაკავშირებით სალიკვიდაციო კომისია (შემდგომში ,,კომისია“) შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერაბ ხუნჯგურუა - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) დავით მალანია - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) აკაკი სარალიძე - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის უფროსის მოადგილე - წევრი;

დ) ირაკლი სიჭინავა - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი - წევრი;

ე) ეკა მგალობლიშვილი - სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის აპარატის მთავარი სპეციალისტი საბიუჯეტო და საბუღალტრო აღრიცხვის საკითხებში - წევრი;

ვ) ნატალია პაპასკირი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი სახელმწიფო ზედამხედველობის საკითხებში - წევრი.

2. სამსახურის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კომისიის მუშაობაში კომისიის წევრებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის, საფინანსო–სამეურნეო დეპარტამენტის და კადრების მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები;

3. კომისიამ უზრუნველყოს:

ა) ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმა–გრაფიკის, განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების ვადის შემუშავება, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საშტატო რიცხოვნობის ზუსტი რაოდენობის (შევსებული და ვაკანტური შტატების მითითებით) და მათი ხელფასების ოდენობების დადგენა;

გ) სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ინვენტარიზაცია (მდგომარეობისა და ნარჩენი საბალანსო ღირებულების განსაზღვრა);

დ) სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყოველთვიური ხარჯების გრაფიკის შედგენა, 2014 წლის 1 დეკემბრისათვის დარჩენილი აუთვისებელი სახსრების განსაზღვრა და აღნიშნული ინფორმაციის შსს–ს საფინანსო–სამეურნეო დეპარტამენტისათვის წარდგენა;

ე) სამსახურებრივი დოკუმენტაციის აღრიცხვა და გადასაცემად მომზადება;

ვ) პირადი შემადგენლობის საკადრო დოკუმენტაციის წინასწარი მოწესრიგება (მოქმედმა თანამშრომელმა კომისიას უნდა წარუდგინოს სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს მიერ შემუშავებული აპლიკაციის/განაცხადის შევსებული ფორმა (თანდართული დოკუმენტებით), რომელსაც კომისია მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შსს–ს კადრების მთავარ სამმართველოს);

ზ) კომისიის მიერ შესრულებული სალიკვიდაციო ღონისძიებების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტების (აქტი, ოქმი და ა.შ.) მომზადება და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარდგენა.

4. კომისიამ მუშაობა დაასრულოს წინამდებარე განკარგულების მე–3 პუნქტში მითითებული გასატარებელი ღონისძიებების შესრულებისთანავე;

5. განკარგულების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად;

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაიცული კოდექსის“ 180–ე მუხლის I ნაწილის და ,,ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამაართლოში, მის. ზუგდიდი გრ. ქობალიას ქ. N12.

ლევან შონია

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი